საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030437163511220

№ 04-197/ო **01 / აპრილი / 2020 წ.**

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტით განსაზღვრული ფარმაცევტული პროდუქტის ნუსხის, ფასის დადგენის წესის აგრეთვე, ამავე კომპონენტის ბენეფიციარების რეგისტრაციის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ

„საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილების N1.9 დანართის მე-7 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 18 მარტის 01/3394 წერილის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის № 01-14/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს:

ა) საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტით (დანართი N1.9) განსაზღვრული ფარმაცევტული პროდუქტის ნუსხა და ფასი, ამ ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.

ბ) „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის (დანართი N1.9) ბენეფიციარების რეგისტრაციის წესი და პირობები“, ამ ბრძანების N2 დანართის შესაბამისად:

2. „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის (დანართი N1.9) ფარგლებში, ფარმაცევტული პროდუქტის ფასი დადგინდეს იმავე ფარმაცევტულ პროდუქტზე, საქართველოს ბაზარზე არსებული ფარმაცევტული კომპანიების მიერ წარმოდგენილი ფასის, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ჩატარებული ბაზრის კვლევისა და 2020 წლის განმავლობაში ფარმაცევტული პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, მიმდინარე კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის ფასის გათვალისწინებით.

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტის „2“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ფასის გადასინჯვა განხორციელდეს წელიწადში არაუმეტეს ერთხელ, ყოველი მიმდინარე წლის არაუგვიანეს დეკემბრის თვის 15 რიცხვისა.

4. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ.გოგოლაძე) და დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი) უზრუნველყონ კომპეტენციის შესაბამისად, ამ ბრძანების და მისი დანართების სააგენტოს ტერიტორიული და სტრუქტურული ერთეულებისათვის დაგზავნა და სააგენტოს ვებ-გვერდზე - www.ssa.gov.ge განთავსება.

5. სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტმა (თ. აზალაძე), კომპეტენციის შესაბამისად, ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის მეშვეობით, უზრუნველყოს ამ ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობა.

6. ეს ბრძანება, გარდა პირველი და მე-2 პუნქტებისა, ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე. ამ ბრძანების პირველი და მე-2 პუნქტები ამოქმედდეს 2020 წლის 24 თებერვლიდან.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სასარჩელო განცხადებით – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6), მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი წოწკოლაური